

მე 19–20 საუკუნის ებრაელი მეცნიერები საქართველოდან

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავთ ყოველ ერს ეროვნება, თავისი ვინაობა“
– ილია ჭავჭავაძე

ნებისმიერი პროცესი მიზეზ–შედეგობრივი ურთიერთობით აიხსნება. საქართველოს ებრაელთა თემში მრავალი მეცნიერი აღიზარდა, რამ განაპირობა ეს ფაქტი?

1) საქართველოში ანტისემიტიზმა გასაქანი ვერ ჰპოვა – ებრაელების რელიგიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე; 2) ებრაელობა ირმიჰაუ წინასწარმეტყველის სიბრძნეს მიჰყვებოდა: „ილოცეთ იმ ქვეყნის საკეთილდღეოდ, სადაც იცხოვრებთ“; 3) ებრაულ ოჯახში შვილს დაბადებიდანვე უნერგავდნენ არისტოტელესეულ სიბრძნეს: „განათლება არის საშუალება კარგი მომავლის მისაღწევად“; 4) მშობლები თავად კი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ შვილებს ღრმა ცოდნის მიღებაში და ხანგძლივ სასწავლო პროცესში.

მეცნიერი არის ერთ–ერთ დარგში ღრმა მცოდნე – სპეციალისტი, რომელიც კვლევაში სამეცნიერო მეთოდებს გამოიყენებს. მე 19 საუკუნეში მეცნიერება აღწერილობით ხასიათს ატარებდა და მითუმეტეს ჩვენი თემის ისტორია ყამირს წარმოადგენდა. 1933 წელს დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი და მის დირექტორად დაინიშნა მწერალი, ბრწყინვალე მეცნიერ–მკვლევარი, არქეოლოგი არონ კრიხელი (1906–1974), რომელსაც დაპატიმრებამდე ხელმწიფანელობდა. მუზეუმს სათავეში ქართულ–ებრაული ისტორიოგრაფიის მემატთანე – ილია პაპისმედოვი (1902–1980) ჩაუდგა. მან ლამაზად, მიმზიდველად წარმოაჩინა ქართველი ებრაელების ყოფა–ცხოვრების არაერთი მხარე ნაშრომში „ნანახი, განცდილი, გაგონილი“. პროფ. არონ კრიხელის ხელმძღვანელობით მეცნიერი ქალი და პედაგოგი–რივა წითლიშვილი (1926–1970) ნაშრომით „ბავშვის დაბადება, აღზრდა და მასთან დაკავშირებული წეს–ჩვეულებანი ძველად საქართველოს ებრაელებში“ საგრძნობლად ავსებს წარსულის შესწავლის სფეროში არსებულ ხარვეზს. მუზეუმის სწავლული მდივანი მოტკე მამისთვალავი (1925–1986) ხელმძღვანელობდა ებრაულ სექციას. მისი სამეცნიერო ნაშრომი შეიცავდა მრავალ ცვლილებას ენათმეცნიერებაში, რამაც დისერტაციის დაცვის შეუძლებლობა განაპირობა. ამ ნაყოფიერ პერიოდში მუზეუმში თანამშრომლობდა ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი–როზა თავდიდიშვილი (1886–1967). ერთერთი პირველთაგანი იყო ქალებში გიმნაზია დამთავრებული, მრავალ დაბრკოლებას წააწყდა თავის ბრძოლაში, რომ ქალები ვიწრო ოჯახური ჩარჩოებიდან გამოეყვანა, დაეძლია მათი სტიქიური რელიგიური ფანატიზმი. მისი შემოქმედების გვირგვინია (1940) „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა–ცხოვრებიდან“. საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ფოლკლორის კაბინეტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო კომპოზიტორთა და თეატრალური საზოგადოების წევრი, მრავალი შრომის ავტორი მუსიკაში, ქართული მუსიკის ისტორიის თეორიის მასწავლებელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში – მირა ფიჩხაძე (1926–1991). როგორც ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა აღნიშნავდა: „ჭეშმარიტება როდი წყვეტს არსებობას თუ ის არ არის აღიარებული მრავალთაგან“. დოქტორმა ლილი მაღალმა (მაღალაშვილი) მიზნად დაისახა ქართველი ებრაელი ხალხის ყოფის წარმოჩენა, სიძველეთა შესწავლა და მათი სისტემაში მოყვანა. 1992 წელს მოაწყო გამოფენა „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ თელ–ავივის უნივერსიტეტში, დიასპორის მუზეუმში და ერთგვარად შეაჯამა ჩვენი გალუთში ყოფნის ისტორია. სიბნელეში ანთებული სანთელივით გამოანათა დოქტორმა ნისან ბაბალიკაშვილმა (1938–1986) – სემიტოლოგმა, ლინგვისტმა და ისტორიკოსმა, რომელმაც 1971წ. დისერტაცია დაიცვა თემაზე „ებრაული წარწერები საქართველოში“.

ეროვნული ღირსების მატარებელი მეცნიერი პირველთაგანი მოველინა თსუ სტუდენტებს თანამედროვე ივრითის მასწავლებლად. ცნობილია, რომ ეროვნულ-საზოგადოებრივი აზრის სამჭედლო უმთავრესად ჰუმანიტარიებს მიეკუთვნება. გამოჩენილი ენათმეცნიერის პროფ. რაფაელ შამელაშვილის (1968) ღრმა ცოდნამ „მეტყველების კულტურის შესახებ“ გაამდიდრა ქართული ენის მკვლართა მონაპოვარი. განუზომელია კავკასიოლოგიის პროფ. კონსტანტინე ლერნერის (1941) წვლილი საქართველოს ებრაელთა ისტორიასა და ეთნო-ლინგვისტიკის ანალიზში. მის მიერ არის გამოქვეყნებული 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი – მათ შორის 4 მონოგრაფია. 1991 წლიდან იერუმალაიმის ებრაულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. პროფესორმა, გერმანისტმა – ლეილა თეთრუაშვილმა (1941–2007) პირველად შეისწავლა „პანთეიზმის პრობლემები ახალგაზრდა გიოთეს ფილოსოფიურ ლირიკაში“. ახლახან გამოიცა მისი მონოგრაფია – „სალიტერატურო-სამეცნიერო კვლევანი. ესეისტური წერილები“. რუბენ ენოხი (ენუქაშვილი) (1946) პროფესორი, თსუ ფილოლოგიის, ტელევიზიის და კინოს სასცენარო ფაკულტეტზე პარალელურად სწავლობდა. (1974წ.) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი გახლდათ, შემდგომში კი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამჟამად არიელის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ამას უთავსებს კავკასიის და ცენტრალური აზიის ებრაელთა კვლევის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობას. იცხაკ დავითი (1946) თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. 1972 წლიდან აყალიბებს ისრაელში კავკასიოლოგიურ ცენტრს. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში არის მიწვეული პროფესორის სტატუსით; (1983–1992წ) – მთავრობის მეთაურის იცხაკ შამირის მრჩეველია; 1996 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. დოქტორ ლილი ბააზოვს – თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღზრდილს, მრავალი საინტერესო სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული საქართველოს და აფღანეთის ისტორიიდან, მან გამოსცა დიდტანიანი ნაშრომი „Евреи в Грузии“. შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ნიმუშების ბრწყინვალე მთარგმნელი, პროფესორი ჯემალ აჯიაშვილი (1944–2013) ლექციებს კითხულობდა თსუ და უცხო ენათა ინსტიტუტში, ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. საქ.სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახლდათ (1984). პროფესორი აბონ ციციაშვილი (1930–2002), ისტორიკოსი, საქართველოს რადიო და ტელევიზიის საერთაშორისო მიმომხილველი წიგნში „ებრაელები და საქართველო“ ამდიდრებს თავისი კვლევით მრავალთათვის უცნობი ფაქტებით. საქართველოს ებრაელთა მემკვიდრეობის გახლდათ ბატონი დანიელ ხანანაშვილი (1933–2005), რომელმაც ერთ მიზანს დაუქვემდებარა შეგნებული ცხოვრება, თავისი ცოდნა საყვარელი ქალაქისა და ხალხის ისტორიის შესწავლას მოახმარა. კითხულობდა კურს „ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხები“. პროფესორი ნოდარ ჯინჯიხაშვილი (1947–2002) თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის და საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მწერალი, ჟურნალისტი და ფილოსოფოსი, როკფელერის პრემიის ლაურეატი ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. 30 წლის ასაკში იყო აღიარებული, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ფილოსოფიის დოქტორი, საოცარი ერუდიტი და დახვეწილი ინტელექტუალი. შოთა ბოსტანაშვილი (1948–2013) არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო და ესეისტური წერილი, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალებში: „მნათობი“, „აფრა“, „ჩვენი მწერლობა“. ავტორი გახლდა პუბლიკაციის „სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში. დოქტორი ზოია ჯინჯიხაშვილი (1957) – მოღვაწეობდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ავტორია 50 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის. მის კალამს ეკუთვნის (2012) წიგნი „ებრაელები და საქართველო. დიასპორა თუ...“

დოქტორი შალვა წიწუაშვილი (1937) – სემიტოლოგი, დიდი ღვაწლი დასდო ივრითის შესწავლაში 80–90 წლების ებრაული ინტელიგენციის ალიას. ქართველ ებრაელთა ისტორიის, კულტურის კვლევისა და ქართულ–ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დავიდ ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი (1992–2001) შალვა წიწუაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით. დოქტორი გერშონ ბენ–ორენი (წიწუაშვილი) (1938), ენათმეცნიერი–აღმოსავლეთმცოდნე აქტიურად მონაწილეობდა ებრაული კულტურის განვითარებასა და წარმოსახვაში (1966 წ.) ფაინა ბააზოვასთან ერთად. უზარმაზარი წვლილი შეიტანა „Российская Еврейская Энциклопедия“ იაში საქართველოს დასახლებათა ებრაელთა ისტორიის წარმოსახვაში; დანიელ ხანანაშვილის არქივში დაცული საქართველოს გასაბჭოებამდე გამოცემულ ქართულ–რუსული ჟურნალ–გაზეთების მიხედვით (შალვა წიწუაშვილთან თანაავტორობით) ნაშრომში; ბენ ცვის სახელობის აღმოსავლეთის ებრაელთა ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევაში. პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი (1931–2012) – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი – 250 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 25 წიგნი, რომელიც დღემდე უცვლელ სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული იურისპრუდენციაში. 1985 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ხელოვანი და ერუდიტი ლეონარდო და ვინჩი ამბობდა: „მსოფლიოში მოვლენათა ცქერა თეორიის გარეშე იგივე არის, რაც ზღვაში გემით საჭეს გარეშე შესვლა“. ჩვენი თემის მკვიდრნი მრავლად არიან წარმოდგენილი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში. სიმონ შათაშვილი (1910–1996). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სტუ–ს თეორიული მექანიკის კათედრაზე მუშაობდა. ს.შათაშვილი 16 სახელმძღვანელოს ავტორია. პროფესორი მარკ რუბინშტეინ (1915–1978) – გეოლოგი და პალეონტოლოგი. მის მიერ იქნა შემოთავაზებული საქართველოში სეისმოტექნიკური ზონირების სქემა. მათემატიკოსი, დოქტორი ალექსანდრე (იაშა) ხვოლესი (1920–2017) მუდამ გამოირჩეოდა ნაპერწკლოვანი ორიგინალური სხარტი აზროვნებით და სათავეში უდგას ავანგარდულ კვლევას. აყალიბებს პროგრამირების და შემდეგ საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილებებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. მას მიზნად ჰქონდა დასახული ხალხის დახმარება, უნარის და ცოდნის არდაზოგვა და მხარში ამოდგომა. პროფესორი ჩიკვაშვილი ბორისი (1926–2005) ჰიდროტექნიკოსი, საინჟინრო აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგე. 200 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 15 წიგნი და სახელმძღვანელო. პროფესორი ლული შათაშვილი (1928–2000) ავტორია 200–მდე სამეცნიერო შრომისა, მათ შორის 3 მონოგრაფიისა. ზოგიერთი მისი კვლევის შედეგი კლასიკურად ითვლება და შეტანილია ამერიკულ სამაგიდო ენციკლოპედიაში. ის ითვლება კოსმოსური სხივების კოსმოფიზიკური ასპექტის შესწავლის პიონერად საქართველოში. ლული შათაშვილმა დაგვიტოვა ძვირფასი მეცნიერული და გენური მემკვიდრეობა. პროფესორი ნანა შათაშვილი – თეორიული ფიზიკის ინტერნაციონალური ცენტრის ნამდვილი წევრი, თსუ და ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის და მაგნეტოჰიდროდინამიკის, ნივთიერებებზე ლაზერის მოქმედების საკითხებში მთავარი ექსპერტი, სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისიის ხელმძღვანელი. სამსონ შათაშვილი – ირლანდიაში, დუბლინის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯის პროფესორია, მსოფლიოს მრავალი უმაღლესი სასწავლებლის მიწვეული და საპატიო პროფესორი უმაღლესი მათემატიკის დარგში. პროფესორი შალვა ცივიონი (წიწუაშვილი) (1929–2011) – ისრაელის მეტეოროლოგიის ინსტიტუტის პრეზიდენტი (1990–1993), თელ–ავივის უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დოქტორი. 50 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. შექმნა თეორიული მოდელი „ზესიდლიერის ენერგეტიკული კოშკი“. ამოსვლისთანავე უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოდან რეპატრირებულ მეცნიერთა ისრაელში დამკვიდრებას. ისრაელის მეტეროლოგიურმა საზოგადოებამ 2014 წელს სპეციალური სამეცნიერო კონფერენცია გამართა პროფ. ცივიონის ხსოვნის საპატივცემოდ. ჩვენი ქვეყნის პოლიტკორექციის აქტიური მებრძოლი ბრძანდებოდა ბატონი შალვა. ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი დავით კოტლარევსკი (1931–2004) მოღვაწეობდა ფიზიკის ინსტიტუტში კოსმიური სხივების ლაბორატორიის გამგედ. 100 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი – ისაკ ენუქაშვილი (1930-2018) მუშაობდა საქართველოში გეოფიზიკის და ისრაელში მეტეროლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. კვლევამ „ღრუბლების და ნალექების მიკროფიზიკა“ საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა. პროფესორი თენგიზ (იოსებ) ზონენაშვილი (1932-2014) – თეორიული მექანიკის კათედრაზე მოღვაწეობდა. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სამეცნიერო საატესტაციო კომისიის წევრი ხარისხების მინიჭებაში თვითმფრინავ- და მანქანათმშენებლობის დარგში. 100 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივ.ჯავახიშვილის სახ. ორდენით. თსუ მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტი, დოქტორი კარლო ზონენაშვილი (1937–2010) დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და სიგელით „შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის“. პროფესორი მარკ პერელმანი (1937–2010) კიბერნეტიკის ინსტიტუტის მრავალი მეცნიერის დამკვალიანებელი და ხელმძღვანელი. 150 სამეცნიერო ნაშრომის, რიგი პატენტების, 2 მონოგრაფიის და სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევების ავტორი. ისრაელში გამოქვეყნებული აქვს მასალები თეორიული ფიზიკის საკითხებში. ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი მარკ პერელმანი თვლიდა, რომ ისრაელის არცერთ მოაზროვნე მოქალაქეს უფლება არ აქვს განზე გაუდგეს პოლიტიკას: ინტერნეტში მისი ავტორობით 150-ზე მეტი სტატია არის გამოქვეყნებული „პოლიტიკის მიმდინარე პრობლემები: მათი ანალიზი და პერსპექტივები“. დოქტორი აბრამ პაპისმედოვი (1933) ფუნდამენტალური მონოგრაფიის ავტორი „საქართველოს მინერალური რესურსები და მათი რაციონალური დამუშავების პრობლემები“ – სახელმწიფო პრემიის ლაურეატია; წიგნი კი დღემდე რჩება ყველაზე მნიშვნელოვან დამხმარე სახელმძღვანელოდ ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. პროფესორი ალბერტ შათაშვილი (1935) ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი; 1966 წელს მიწვეულია დონეცკის უნივერსიტეტში კათედრის გამგედ. 2 მონოგრაფიისა და 160 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მრავალი სახელმწიფო ჯილდოთა აღნიშნული მისი წვლილი. თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ხელს უწყობენ და მფარველობდნენ მეცნიერები: დოქტორები ალბერტ გორელაშვილი (ნიუ-იორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი), ხაიმ თეთრუაშვილი, მიხეილ კრიხელი (აღსანიშნავია მისი წვლილი მათემატიკური ანალიზის კვლევის საკითხებში). მათემატიკის დოქტორი ბორის კრიხელი წარმატებით მოღვაწეობს აშკელონის და არიელის უნივერსიტეტში. პროფესორი, ვახტანგ პაატაშვილი (1936-2017) - აღიარებული ექსპერტი სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, მოღვაწეობდა რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფიები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათობით კონფერენციის მონაწილე. დაგვიტოვა ძვირფასი მეცნიერული და გენური მემკვიდრეობა: მათემატიკოსები დავით და თამარ პაატაშვილები. პროფესორი ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ბააზოვი (1937) თსუ კურსდამთავრებულია ბირთვული ფიზიკის სპეციალობით. დ.ბააზოვი გახლდა ფოტოსინთეზის პრობლემული ლაბორატორიის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

მათემატიკური მოდელირების კათედრის პროფესორი; ისრაელში: თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე და რუპინის სახ. აკადემიური ცენტრის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად მოღვაწეობს. არჩეულ იქნა გაერო-სთან არსებული ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსად. რიგი ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორია. დოქტორი მოსე დანიელაშვილი (1938) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის. ლექტორია არიელის უნივერსიტეტში; სამოქალაქო მშენებლობის პროექტების კვლევის საკითხებში ექსპერტი და კონსულტანტია. მათემატიკოსი, დოქტორი ამირან იანეცი (ჩაჩანაშვილი) (1940–2012) თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გამოთვლითი მათემატიკის განხრით. იმ ხანად (1965) მნიშვნელოვნად აქტუალური გახლდათ მაღლივი თაღოვანი კაშხლების სიმტკიცის გაანგარიშებისათვის ვარიაციული მეთოდების გამოყენება, რომელსაც დოცენტი ალექსანდრე ხვოლესი (1920–2017) ხელმძღვანელობდა. ამ საამაყო მათემატიკოსების თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ისრაელში იანეცი მუშაობდა მეტეოროლოგიის ინსტიტუტში კვლევისა და განვითარების განყოფილებაში და პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბარ-ილანის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ დიდი კვალი ამ პიროვნების ჩამოყალიბებაში დასტოვა რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილმა, ენათმეცნიერმა მოტკე მამისთვალოვმა, იაკობ ხვოლესმა. დოქტორი ამირან იანეცი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ზუსტი მეცნიერების წარმომადგენელთა და ინჟინერთა ოლე ხადაშების აბსორბციის გაადვილების საქმეში. პროფესორი ომარ დავარაშვილი (1941) თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განყოფილების გამგე, ავტორი გახლავთ 16 პატენტისა, 6 მონოგრაფიის და 180 პუბლიკაციისა. დაჯილდოებული იყო პროხოროვის ფონდიდან (1993), ვერნადსკის (1998) და კაპიცას (2007) სახელობითი პრიზების ლაურეატია. თემის საამაყო მეცნიერი წარჩინებული პროფესორი ისაკ ელიშაკოვი (1944) მოსკოვის ენერგეტიკისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მუშაობდა (1972–1975) ხაიფის ტექნიკურ, ნორტდამის, დელფტის უნივერსიტეტებში. 1989 წლიდან ფლორიდის უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის კათედრის პროფესორი და ხელმძღვანელი გახლავთ. მსოფლიოში წამყვანი სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რედკოლეგიის წევრი, ერუდიტი მეცნიერი მრავალი აკადემიის საპატიო და მიწვეული პროფესორია. აერონავტიკის და ასტრონავტიკის განვითარების სფეროში წვლილისათვის მისდა საპატივცემოდ გაიმართა არაერთი სიმპოზიუმი, სემინარი და სამეცნიერო სხდომა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი 2010 წლიდან, 400-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, საპატიო რეგალიებისა და ჯილდოების მფლობელი პიონერივით მზადაა თემის გვერდში ამოდგომაში და ისრაელის ქვეყნის საკეთილდღეოდ ბრძოლაში. საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი ისაკ ელიშაკოვი 15 წიგნის და 10 მონოგრაფიის ავტორია. პროფესორი შლომო იანეცი (ჩაჩანაშვილი) (1948) – მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მრავალი საერთაშორისო გრანტის მომპოვებელი და მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებში მიწვეული პროფესორი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და პატენტის ავტორი. 1991 წლიდან ხელმძღვანელობს მეორე და მესამე აკადემიურ ხარისხზე მოღვაწე სტუდენტებს. უდიდესი ნდობა და აღიარებაა, როდესაც პროფესორი შლომო იანეცი დაინიშნა ისრაელში წამყვანი უშიშროების დაცვის კომპანიის მიერ პროექტის ხელმძღვანელად “სატელიტური ფოტოგრაფირების გაუმჯობესების შესაძლებლობანი”. ბარ-ილანის უნივერსიტეტში „ოლიმ ხადაშიმ“ მეცნიერთა ნაყოფიერად მოღვაწე კურატორია. პროფესორი კლარა ვინოკურ (1953) – კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, თხევადი კრისტალების კვლევის სპეციალისტი და ექსპერტი. 10 პატენტის, მონოგრაფიის, 70 სტატიის 35 საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებული

მასალის ავტორია. ეწევა სამეცნიერო კვლევას კომპანია “Nova” –ში. 1989 წ. საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ისრაელში აღიარებულია საუკეთესო მეცნიერთა შორის. ალექს პელეგი (1952) – ფიზიკა–მათემატიკის დოქტორი. ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროსთან არსებულ გამოთვლითი ცენტრის ინფორმატიკის განყოფილებას. 2 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს, 27 სტატიის ავტორი. 1989 წ. საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. აბენ ხვოლესი (1951) – მათემატიკის დოქტორი რაზმადის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ბარ–ილანის უნივერსიტეტის ლექტორი, 17 სტატიის ავტორი მათემატიკური ანალიზის სფეროში. პროფესორი მიხაილ მეგრელიშვილი (1959) – თსუ კურსდამთავრებული. ასწავლის ბარ–ილანის უნივერსიტეტში ალგებრა და ტოპოლოგიის სპეციალობით, მრავალი გრანტის მომპოვებელი. უკანასკნელი 30 წლის მეცნიერთა ალიის წარმომადგენელთა შორის პირველთაგანს მიენიჭა პროფესორის წოდება. პროფესორი ბენციონ (ბესო) მიხელაშვილი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სწავლა სანქტ პეტერბურგის იოფეს სახ. ფიზიკა–ტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო. კვლევის შედეგები 97 ნაშრომით, 6 პატენტითა და 68 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებული მასალით არის წარმოდგენილი. 1992 წლიდან ხაიფის ტექნიონში მოღვაწეობს ელექტრონიკის საინჟინრო ფაკულტეტზე. ჰერცელ ბარი (1935-2013) – პროფესორი გელა ებისკელაშვილი საფეიქრო–საინჟინრო დეპარტამენტის უფროსი Shenkar-ის საინჟინრო ტექნოლოგიის და მოდის კოლეჯში. დირექტორთა საბჭოს წევრი, აკადემიურ პერსონალთა თავმჯდომარე. 1982 წ. – ისრაელის სახელმწიფო ბენ–გურიონის სახ.ლაურეატი „ბამბის თერმული დამუშავება თავლის მცვარის ზეგავლენის შესამცირებლად“. ავტორია 380 სტატიის, 20 პატენტის და 21 წიგნის. დოქტორი გარი ჯინჯიხაშვილი (1951) – თსუ ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, დოქტორის წოდება ჰიდრაულიკის სპეციალობით მოიპოვა. ისრაელის ელექტროკომპანიის წამყვანი მეცნიერ მუშაკი და მრავალი საინჟინრო პროექტის ექსპერტი. პროფესორი სიმონ სიმონიშვილი (1933) დაამთავრა ლენინგრადის საინჟინრო–ეკონომიკური ინსტიტუტი, ასწავლიდა თსუ–ში. მისი სამეცნიერო–კვლევითი ინტერესები ეხება ეკონომიკური ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს: „წარმოების ეფექტურობა და საფინანსო შედეგების შეფასება, პროგნოზირება, დიაგნოსტიკა და პერსპექტივების დამუშავება“. 19 სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის, მრავალი სტატიის ავტორია.

სეროზული და ნაყოფიერი წვლილი შეიტანეს თემის მეცნიერებმა ქიმიის და ბიოლოგიის დარგში. ნათელი კვალი დატოვა პროფესორ იოსებ ქურჩიშვილმა (1916–1985), სამედიცინო მეცნიერების მოამაგემ, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგემ ქართული მედიცინის ისტორიული წარსულის კვლევით. გამოქვეყნებული აქვს 200 სტატია, 12 წიგნი და მონოგრაფია. როიტბაკი ალექსანდრე (1919–1995) საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ი.ბერიტაშვილის მოწაფე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ტვინის ქერქის ზოგადი ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე. მის მიერ იქნა წარმოდგენილი ჰიპოთეზა – ნეიროგლიის მნიშვნელობაზე დროებითი კავშირების წარმოქმნაში, რაც საფუძვლად უდევს პირობით რეფლექსებს. პროფესორი მიხაილ ხანანაშვილი (1928–2019) საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, 1980–1991 წწ. – ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. მან შემოიტანა ცნება საინფორმაციო ნევროზები, ჩამოაყალიბა უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგიის სამეცნიერო სკოლა. ავტორია 16 მონოგრაფიის და 300 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი მსოფლიო აკადემიის მეცნიერული საზოგადოების წევრია. არაერთჯერ იქნა დაჯილდოებული, მათ შორის (1991) პავლოვის სახ. ოქროს მედლით – „ფიზიოლოგიის განვითარების თვალსაჩინო გამოგონებისათვის“. პროფესორი ილია აივაზაშვილი (1929–

1998) იკვლევდა მეხსიერების სხვადასხვა ფორმის ნეიროფიზიოლოგიურ მექანიზმებს. ასამდე შრომის, 2 მონოგრაფიის და ქართულ ენაზე ბიოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორია. პარალელურად მონღოლებით მუშაობდა იუდაიზმის პოპულარიზაციაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლოტარ ხანანაშვილი (1930–2005) ხელმძღვანელობდა თსუ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრას. მისი სამეცნიერო მიღწევები ასახულია 500-ზე მეტ პუბლიკაციაში, 2 მონოგრაფიასა, 130 საავტორო მოწმობასა და 30 საზღვარგარეთის პატენტში. პროფესორი შალომ (შურა) ფიჩხაძე (1934–2012) ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი. ორგანული, მონო- და პოლიმერთა ქიმიის, საღებავთა ექსპერტი. 140 პუბლიკაციის, 12 მონოგრაფიის, უმაღლესი სკოლის 2 სახელმძღვანელოს და 12 პატენტის ავტორია. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი იური ალხაზოვი (1935) – საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. უდიდესი წვლილი შეიტანა ჩაის კულტურის შესწავლის საკითხებში – 220 პუბლიკაციის ავტორია. აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სეფიაშვილი – იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი (1993) და დირექტორი. ავტორია სახელმძღვანელო „იმუნოლოგიის შესავალი“, 350 ნაშრომის, 18 მონოგრაფიის. ახალი მეცნიერული მიმართულებების ფუძემდებელია – „იმუნორეაბილიტოლოგია“. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მერი ბახანაშვილი (1953) – ბარ-ილანის უნივერსიტეტის პროფესორი, ტელ აშომერის საავადმყოფოში შიტცის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე. მაღალი ციტირების ინდექსის მქონე 57 სამეცნიერო სტატიის ავტორია, მოპოვებული აქვს არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო გრანტი. ისრაელში და უცხოეთში ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების აქტიური მონაწილეა, კვლევის დარგში საპატიო ექსპერტია. აუწონელი ღვაწლი დასდო ახალჩამოსულთა გზის გაკვლავასა, კონსულტაცია-რეკომენდაციაში. პროფესორი თემურ ბააზოვი – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი – მოღვაწეობს ხაიფის ტექნიონში ქიმიის ფაკულტეტზე. ბიოკატალიზის სპეციალიზაციით 50 სტუდენტის ნაშრომის ხელმძღვანელი, 57 პუბლიკაციის ავტორი. პროფესორი დანიელ ხანანაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგია და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე. შეისწავლის გულის კუნთში მიმდინარე მოლეკულურ მექანიზმებს. მოპოვებული აქვს არაერთი გრანტი, 48 სამეცნიერო სტატიის ავტორია. ამ სტრუქტურების ავტორი პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი (1952) თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობს, 49 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. საქართველოში და ისრაელში ვიკვლევდი ნერვული სისტემის ცილების ბიოქიმიურ მექანიზმებს.

მსურს, თუნდაც მხოლოდ სიით, მაგრამ აუცილებლად, მათ უკვავსაყოფად, წარმოგიდგინოთ მეცნიერი ქალბატონები, რომელთაც დატოვეს ნათელი კვალი: მათ აღზარდეს მრავალი კვალიფიციური პროფესიონალი, მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე რომ მოღვაწეობენ.

ბაბალიკაშვილი ვერა – (1924-2010) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 ბაბალიკაშვილი ნანი – (1947-1993) უცხო ენათა კათედრის დოცენტი
 ბაბურაშვილი ეთერი – (1923-1999) სასოფლო სამეურნეო მეცნ. კანდიდატი
 თავდიდიშვილი სიმა – (1932-2012) მეცნიერებათა დოქტორი, გერმანისტი
 თეთრუაშვილი ლეილა – (1941-2007) მეცნიერებათა დოქტორი, გერმანისტი
 იოსებაშვილი ნანა – (1950-2016) ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 მეგრელაშვილი ფატი – მეცნ. კანდიდატი, ფსიქოლოგი
 მიხელაშვილი მირიამი – (1934-1989) პროგრამირების ცენტრი, ინფორმატიკა
 რაზდოლსკი ლუბოვ – (1934-2008) ფიზიკის მეცნ. დოქტორი

სეფიაშვილი ლილი – (1931-1991) ქიმიკოსი, თსუ, დოცენტი
 სლიოზ ირინა – (1928-2015) უცხო ენათა ინ-ტი, ინგლისური ენა
 ფიჩხაძე მარი - (1918-2006) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 ფიჩხაძე-კაკიტიელაშვილი რაისა - (1918-1979) ბიოლ. მეცნიერებათა დოქტორი
 ქოსაშვილი მარია - (1939-2007) იუსტიციის დოქტორი, რესპუბლიკის გენერალური
 პროკურატურის კოდიფიკაციის განყოფილების გამგე
 შკოლნიკი ასია – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი
 წითლიშვილი რივა – (1926-1975) მეცნ. კანდიდატი, ეთნოგრაფი
 წიწუაშვილი ეთერი – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 წიწუაშვილი ზაირა – მეცნ.დოქტორი, ინგლ. ენა, პედაგოგიკის ინსტიტუტი
 ხვოლესი იდა – (1923-2004) ქიმიკოსი საიდუმლოების გრიფით მკვლევარი
 ხვოლესი როზა – (1934-1989) მათემატიკური სტატისტიკა
 არასოდეს დაგვამყოფილებულვარ შესრულებულით, მუდამ ვხედავ თუ რა უნდა
 გაკეთდეს მომავალში. ამის დასტურად მსურს კორექცია შევიტანო „მენორა“ N2, 2020
 წლის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში: არიელის უნივერსიტეტის პროფესორი მოსე
 დანიელაშვილი (1938) 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და ორი მონოგრაფიის
 თანაავტორია. ნაგებობათა სეისმომდეგობის სპეცილისტი, სამოქალაქო მშენებლობის
 პროექტების კვლევის საკითხებში ექსპერტი და კონსულტანტია. ზემოთმოხსენიებული
 მეცნიერები არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სასწავლებელთა
 კურსდამთავრებულნი.

ჩვენი თემის წარმომადგენელთა მე-20 საუკუნის ისრაელში მეცნიერული კარიერის
 განვლილ გზაზე მხოლოდ რამოდენიმეთი შემოვიფარგლები. პროფესორი,
 ბიოქიმიკოსი ისრაელ ხანუკოვლუ (ენუქაშვილი) – არიელის უნივერსიტეტში
 მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. პრემიერ
 მინისტრის ბინიამინ ნათანიაუს მრჩეველი მეცნიერების დარგში, 3 წიგნის, 58 ნაშრომის,
 სახელმძღვანელოებში 12 თავის ავტორია. ეკონომიკის პროფესორი, დანიელ ლევი
 (ლევიაშვილი), ბარ-ილანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის განყოფილების
 გამგე. ამერიკისა და საქართველოს საპატიო მიწვეული პროფესორი. კვლევის
 საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე მსოფლიო ბანკების მრჩეველია, მრავალი
 გამოცემის რედაქტორი და სტუდენტთა პროექტების ხელმძღვანელი. პროფესორი მოშე
 მანი (მანაშეროვი) წლების მანძილზე თელ-ავივის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
 გახლდათ, ამჟამად აშკელონის კოლეჯს განაგებს. პროფესორი მოშე ისრაელაშვილი,
 თელ-ავივის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე მოღვაწეობს. ამ ჯგუფის
 მეცნიერთა გამოვლინება და გაცნობა პროექტის სამომავლო და სპეციალურ ნაწილს
 წარმოადგენს. აგრეთვე, ცალკე კვლევა არის ჩასატარებელი მედიცინის დარგში მოღვაწე
 მეცნიერებზე, ვით შევძლოთ მათი მასშტაბურად წარდგინება. მათი წვლილი
 მოხსენებული გახლდათ 2014 წელს ისრაელში ბარ ილანის უნივერსიტეტში, დოქტორ
 იაკობ ოფირის (ეფრემაშვილი) (1945) ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამეცნიერო
 კონფერენციაზე: „საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ყოფის შესახებ“. თემში
 მრავალი საქმის ინიციატორმა და მის ავტორიტეტზე მზრუნველმა, დისერტაცია დაიცვა
 თემაზე: „ებრაული კულტურის არსი ანთიკური ხანის ისტორიაში“. 2015 წელს ბატონმა
 იაკობმა ჩამოაყალიბა „საქართველოს ებრაელთა ისტორიის და ყოფის აღწერის
 სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი“. ამჟამად მუშაობს საქართველოს ებრაელთა
 ისტორიის პირველ ტომზე, რომელიც რედაქტირების პროცესშია. ბატონი იაკობი ილიას
 სახელმწიფო და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების საპატიო მიწვეული
 პროფესორი ბრძანდება.

ეს ფორმატი საშუალებას არ იძლევა ვრცლად, მასშტაბურად წარმოვიდგინოთ ჩვენი
 თემის ღირსეული ყველა მეცნიერი, ზოგ მათგანზე მასალაც კი ვერ მოვიპოვე. თემის

მეცნიერთა უფრო სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, მკითხველებს გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ხელგეწაფებად.

Additional research

„ნუ დავკარგავთ იმას, რისთვისაც მიგვიღწევია, რაც გვიკეთებია“

ამ სიტყვებით დაასრულა „მენორა“ს რედაქციამ პუბლიკაცია კვლევითი მასალისა „საქართველოს ებრაელი მეცნიერები“ (გაზეთი „მენორა“, 2020, N1-3). მრავალმხრივი მცდელობის შედეგად დამატებითი მასალა მოვიპოვე და მსურს მკითხველს გაგიზიაროთ.

გერცელ ჩაჩაშვილი - ეთნოგრაფიის პროფესორი (1913-1987). მან დაამთავრა თსუ ეკონომიური ფაკულტეტი. 1937 წელს აგრძელებს სწავლას ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. 1938-48 წწ. მუშაობდა საქართველოს ებრაელთა ახალგაზსნილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1949 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „შატილის საფეხნო“, 1971 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური ფეიქრობა“. 1950 წლიდან მოღვაწეობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სადაც ჩამოყალიბდა მისი მეცნიერული მრწამსი. 1962 წლიდან გ. ჩაჩაშვილი მუშაობას იწყებს თსუ ეთნოგრაფიის კათედრაზე, დოცენტის თანამდებობაზე. მან შეადგინა „სალექციო კურსი საზღვარგარეთის ხალხების ეთნოგრაფიაში“. იგი კითხულობდა ლექციებს „საქართველოს ეთნოგრაფიაში“, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებების, საკურსო და სადიპლომო ნაშრომების მომზადებას. მის კალამს ეკუთვნის თარგმანი „პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. თვალსაჩინოდ უძღვებოდა საველე-საწარმოო პრაქტიკებს, მათ მეთოდოლოგიურ საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ექსპედიციები რაჭაში, სვანეთში, ქართლში. ის ბრძანდებოდა თსუ ეთნოგრაფიის კათედრის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი და საქმის მცოდნე. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

ზაირა დავარაშვილი - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის, გერმანული ენისა და ლიტერატურის განყოფილების კურსდამთავრებული (1968), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრის მკვლევარი. საკვალიფიკაციო ნაშრომში „პროფესორი გერცელ ჩაჩაშვილი - ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარი“ - ზაირა დავარაშვილი წარმოაჩენს ბატონ გერცელ ჩაჩაშვილის მოღვაწეობას ქართულ ეთნოგრაფიაში, როგორც ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს ამ დარგის ისტორიაში. მეცნიერის შრომების სია მოიცავს თანამედროვე ებრაული პოეზიის თარგმანებს, ქართულ-ებრაულ პრაქტიკულ სასაუბროს, ვრცელ გამოკვლევას „ეთნოსები საქართველოში. ებრაელები“ და სხვა. ერების მეგობრობის მოამაგე ქალბატონის ტიტული აქვს ქალბატონ ზაირა დავარაშვილს. სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი დატვირთვა. ძალზე ფართოა ზაირა დავარაშვილის მოღვაწეობის არეალი: 30 წელზე მეტია, დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით ემსახურება ებრაული ენის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეს; დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, კლუბ „26 საუკუნის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი დაარსების დღიდან; მსოფლიო ებრაელ ქალთა ორგანიზაციის „ემუნას“ თბილისის ფილიალის კოორდინატორი; თანამედროვე ებრაული პოეზიის წრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი; ქართულ-ებრაული მეგობრობის გაზეთის „ჟამი ერთობისა-26 საუკუნე“ თანარედაქტორი დავით ჭელიძესთან ერთად; მთარგმნელი (თანამედროვე ებრაული პროზა და პოეზია),

პუბლიცისტი, სხვადასხვა ჯილდოებისა და ათობით სიგელის მფლობელი და ღირსების ორდენის კავალერი. იგი გახლავთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრი; საქართველოს ებრაელ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე. ბრძანდება პირველი (ქართველი) ებრაელი ქალი, რომელიც თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებას ატარებს.

ავივ ფიჩხაძე - PhD, მეცნიერებათა დოქტორის (2007-2012) წოდება მიენიჭა ონტარიოში, კანადის უმველესი სამართლის კანონის სკოლის სამეცნიერო საბჭოს მიერ „კორპორაციული მართვის რეგულირების საკითხებში“. 2013 წლიდან მარეგულირებელი შესაბამისობისა და იურიდიული რისკების მართვის ფინანსური ინსტიტუტების სერტიფიკატის მფლობელი გახლავთ. ამ საფეხურის მიღწევას მრავალწლიანი სასწავლო ეტაპი მიუძღვოდა წინ. 1990-1994 წწ. - იორკის უნივერსიტეტში ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგია და ფსიქოლოგიაში. 1996-1998 წწ. ბუკინჰემის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ბაკალავრი. 1998-2000 წწ. იორკის უნივერსიტეტში სამართლის მაგისტრის წოდება - კვლევის არეალი მოიცავს: შერწყმა, აქციონერთა შესყიდვების და კონტროლის წესები კანადაში და გერმანიაში. 2000 წ. - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურა დაასრულა (MBA). იორკის უნივერსიტეტი (2005-2007) საგადასახადო კონკურენცია. იშვიათად შეხვდებით მეცნიერთა შორის მსგავს, ფართო და ხანგრძლივი სწავლების პროცეს. შედეგი კი მისი დღევანდელი მიღწევები გახლავთ. მან ჩამოაყალიბა 2014 წელს და აღმასრულებელი დირექტორია (CEO) კომპანიის, რომელიც განაგებს კორპორაციული მართვის რეგულირებას: მართვა ბიზნესის ყველა ასპექტში საწარმოს, მათ შორის, მაგალითად, სტრატეგია და აღსრულების, სტრატეგიული მოკავშირეების და პარტნიორული ხელშეკრულების მოლაპარაკებებში. მისმა კომპანიამ შეისყიდა „Scholabrate“, რომელიც განაგებდა კვლევით და აკადემიურ სფეროში პროდუქციის დიზაინს; ხელს უწყობდა კვლევის პროცესში ინოვაციური, ინტელიციური და მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღებას; მკვლევარების ურთიერთქმედებას და შექმნილი ცოდნის ტრანსფორმირებას, რაც ამდიდრებდა სხვადასხვა ეტაპზე სამეცნიერო მიღწევებთა ციკლს. გამოქვეყნებულია აქვს სამეცნიერო ნაშრომები.

ამირ ფიჩხაძე - დოქტორი S.J.D სამართლის სფეროში განაგებს სამაგისტრო, MSc განათლების პროგრამას ოქსფორდის უნივერსიტეტში (2020 წ). მანამდე, ის იყო სრულ განაკვეთზე ლექტორი (2017-2020) Deakin-ის სამართლის სკოლის, ავსტრალია; მოწვეული ლექტორი და სპიკერი მრავალრიცხოვან ინსტიტუტებში, როგორცაა: მიჩიგანის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, ლონდონის ეკონომიკის სკოლის (LSE), Osgoode Hall სამართლის სკოლის Mc Gill-ის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ბოსტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის და ავსტრალიის საგადასახადო სამსახური. მეცნიერის წინსვლა (2003-2006 წწ.) დაიწყო ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლიდან - LLB; 2007-2008 წწ. დაასრულა LL.M - სამართლის მაგისტრის პროგრამა კრედიტის საკითხებში. მისი კვლევის პრეზენტაცია კონფერენციებში მთელს მსოფლიოში გამოქვეყნდა წამყვან ჟურნალებში. იგი ასევე იყო მიწვეული მკვლევარი მაქს პლანკის ინსტიტუტის საგადასახადო სამართლის და საჯარო ფინანსების საკითხების ლექტორად. 2012-2013 წწ. მიჩიგანის სამართლის სკოლაში აღრმავებს ცოდნას საერთაშორისო განბაჟებაში. ამირის სამაგისტრო დისერტაციას მიენიჭა მე -2 ადგილი 2013 წლის იურისტ სტუდენტთა ესეების კონკურსში ამერიკული მოსამართლეთა ასოციაციის მიერ. ამირი გახლავთ ნიჭიერი მხატვარი, მას მამასთან, გამოჩენილ მხატვარ, იაკობ ფიჩხაძესთან ერთად აქვს მოწყობილი გამოფენები სახვით ხელოვნებაში. მუდმივად ცდილობს გამოიყენოს ხელოვნება, როგორც საშუალება მხარდაჭერი საქველმოქმედო და სოციალური თანადგომისა და დახმარებისა. იორკის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული

ამირისეული ტილოების გამოფენა-გაყიდვა ხელშემწყობი ფაქტორი გახლდა სტუდენტური სტიპენდიების გაცემისათვის. იორკის უნივერსიტეტის გამოფენის პრეზიდენტმა კომენტარებში განაცხადა, რომ "ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი და კეთილშობილური სტუდენტი, როგორც ამირ ფიჩხაძე თანადგომას გვიწევს. მე მივესალმები მის ხელოვნებასა და ალტრუიზმს". ასევე აღსანიშნავია ტორონტოს ყოფილი მერის მოადგილის გამონათქვამი: "შენი შემოწირულობის შედეგად იორკის უნივერსიტეტის ყოველწლიური სტუდენტური სტიპენდიის ფონდი დაუშრეტელია, რაც შესანიშნავი სიგელი და ჯილდოა ახალგაზრდებისათვის. მის მიერ გამოქვეყნებული წიგნები და სამეცნიერო პუბლიკაციები მრავალი პროფესიონალისათვის სასწავლო ლიტერატურა არის. ქეთი კარმაზინ (კაკიტელაშვილი) - ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი Dowling College, აშშ. თსუ, ფილოლოგიის ფაკულტეტის უმაღლესდამთავრებული (1966-1972), პერალეულრად სწავლობდა ხელოვნებადმცოდნეობის ფაკულტეტზე, ვოკალის სპეციალობით. გახლდათ ტიხვინში (ნოვგოროდის ჰუბერნია) ჩატარებული რიმსკი-კორსაკოვის სახ. საგოკლო ხელოვნების პირველი კონკურსის ლაურეატი. 1982 წლიდან ასწავლიდა აშშ სათემო კოლეჯებში. დაიცვა დისერტაცია (2004წ.) თემაზე: „ეკატერინე 1, რუსეთი: იმპერატორი-ქალბატონის გამოსახულების შექმნა სიმბოლიზმის მეშვეობით“, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი და შემდგომ პროფესორის წოდება.

კაკიტელაშვილი მიხაელი - 2003 წელს მან დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი მაიმონიდის სახელობის სახელმწიფო კლასიკურ აკადემიაში. 2008წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საარჩევნო კამპანიის ფინანსების კონსტიტუციური და სამართლებრივი პრობლემები რუსეთის ფედერაციაში“, სპეციალობით - საკონსტიტუციო სამართალი; მუნიციპალური სამართალი. აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, ყრილობების, სემინარების საკონსტიტუციო სამართლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში. გამოქვეყნებული აქვს 14-ზე მეტი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაოები, მათ შორის 5 მონოგრაფია, 28 სამეცნიერო პუბლიკაცია. ასწავლის საგანს „ორგანიზაცია და პროკურატურის საქმიანობა უცხოეთში“. სამუშაო სტაჟი - 20 წელი. 2017 წელს მან გაიარა დახელოვნება ევროპული კვლევების ინსტიტუტში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (МГИМО). 2019 წელს მან გაიარა გადამზადების პროგრამის „ელექტრონული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“.

ქეთევან კაკიტელაშვილი - ისტორიის დოქტორი, სპეციალობა - ისტორიული კულტუროლოგია, (2004). თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. 2006 წ. მარტი - დღემდე - თსუ ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის წევრი. 2003-2006 - თსუ ისტორიის (2005 წლიდან - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) ფაკულტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის მასწავლებელი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 4 სახელმძღვანელოს ავტორი. მონაწილეობდა საერთაშორისო ვორკშოპი ფოლკსვანის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ებრაული იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე (2016). წარმოადგინა კვლევა „ქართველები თუ ებრაელები: ებრაელ ინტელექტუალთა პერსპექტივა ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ“. გამოცემულია ნაშრომი „წარსულის რეკონსტრუქცია“ აფხაზურ და ქართულ სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოებში.

მიხეილ ბენ ხაიმი (ხუხაშვილი) (1946) - არიელის უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ჩაირიცხა მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში. საკანდიდატო დისერტაცია კიევში დაიცვა, შემდეგ თბილისში მშობლიურ ინსტიტუტში ბრუნდება, სადაც გაიზარდა მეცნიერ მუშაკიდან პროფესორამდე. სადოქტორო დისერტაციამ თემაზე: “მოძრაობის უსაფრთხოების ადაპტური სისტემა“ სამეცნიერო საბჭოს უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. 57 წლის ასაკში ამოდის ისრაელში ოჯახით. პროფესორ მოსე დანიელოვის მეშვეობით და რეკომენდაციით იქნა მიღებული არიელის უნივერსიტეტში, მას შესთავაზეს ლექციების ციკლი „ავტომობილის დინამიკაში“. ამჟამად ასწავლის დინამიკას, საიმედოობის თეორიას, სატრანსპორტო სისტემებს და გზების დაპროექტებას. სადიპლომო ნაშრომების ხელმძღვანელია, 65 სამეცნიერო ნაშრომის, 14 გრანტის ავტორი გახლავთ, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტებმა უახლესი ტიპის ტრაქტორი წარადგინეს აშშ-ი გამართული ტექნიკური ნოვაციების მსოფლიო პირველობაზე. ისრაელში შექმნილმა მოდელმა ნომინაციაში „ნაკლებ ხმაურიანი“ პირველი ადგილი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ არიელის უნივერსიტეტის ისტორიაში, ასეთ ფორუმში მონაწილეობა პირველი გახლდათ. ენერგიული მეცნიერი თავის ბეჯით სტუდენტებთან ერთად მუშაობენ გაუმჯობესებული ტრაქტორისა და „ავტონომიური“ ავტომობილის, მძღოლის გარეშე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის) შექმნაზე. პროფესორი მიხეილ ბენ ხაიმი ბრძანდება არიელის უნივერსიტეტის ბიომექანიკის ცენტრის ტრანსპორტის ლაბორატორიის დამფუძნებელი და პირითადი, წამყვანი მკვლევარი. მრავალი ლექსის ავტორი გახლავთ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს აღნიშნავდენ პრესაში, რომ „მიხეილი საუკეთესო პოეტია ინჟინრებს შორის და საუკეთესო ინჟინერი პოეტებს შორის“.

რაფაელ ჩიკვაშვილი - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1972 წ. დაიცვა დისერტაცია „რეკურსიული ფუნქციების ეფექტურობა“ და მიენიჭა PhD წოდება. ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ, მათემატიკის ფაკულტეტის (1969 წ.) კურსდამთავრებული, 1972 წლიდან, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლა მათემატიკურ ლოგისტიკას. 1972-74 წწ. თბილისში ბრუნდება, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, მეცნიერ მუშაკის შტატში. 1973 წ. თსუ ლექტორი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1976 წ. ემიგრაცია საქართველოდან აშშ-ში. 1976-87 წწ. USFG, IBM კომპანიებში მსახურობდა. 1979-82 წწ. - ასოცირებული პროფესორი ჯორჯ ვაშინგტონის სახ. უნივერსიტეტში - კომპიუტერული მეცნიერება. დაარსა 1993-2013 წ. სტარტ-აპი სამედიცინო დიაგნოსტიკაში ქალაქ ბალტიმორში, მირელენდის შტატი. გარდა სამეცნიერო კვლევებისა, ფართოდ გახლდათ ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში: HIAS International-დირექტორთა საბჭოს წევრი (1995-2008); ამერიკის კონგრესში ჯანმრთელობის საკითხებში მრჩეველთა კომიტეტის წევრი (2001-2005). მეგი ენუქაშვილი - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. განათლება მიიღო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ქუთაისის ფილიალი) ქიმიკოს-ტექნოლოგი (1975) სპეციალიზაციით. მონაწილეობდა სამეცნიერო პროექტებში: (2012 – 2015 წწ.) დამუშავება სპეციალური მინარევებით ლეგირებული IV-VI ნახევარგამტარული ფენების და ზეკრიტიკული სტრუქტურების შექმნა ნაციონალური ავიაციის აკადემია (აზერბაიჯანი). (2009 – 2011) მინარევების ახალი როლი IV-VI ნახევარგამტარებში ინფრაწითელი ლაზერების მახასიათებლების გასაუმჯობესებლად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. (2007 – 2009) დიელექტრიკული მდგომარეობის შექმნა ვიწროზონიან IV-VI ნახევარგამტარებში უსტც (აშშ). საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი ჰქონდა კვლევის მასალები, რამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათ შორის

გამოვეყნებული 2014 წ. სამხრეთ კორეაში გამართული ფორუმი „ პერსპექტიული მასალები, სტრუქტურები და მექანიკური თვისებები: ტყვია სელენიდის ნანოფენების ოპტიკური თვისებები“.

დანიელ ლევი (ლევიაშვილი) - ეკონომიკის პროფესორი, ბარ-ილანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის განყოფილების გამგე. 1982 წ. ბენ გურიონის უნივერსიტეტის, ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 1990 წ. მაგისტრატურა აშშ, ირვინში დაასრულა. სადოქტორო ხარისხი დაიცვა თემაზე: “სამი ესსე დინამიურ მაკროეკონომიკაში“. 2002 წელს ბრუნდება ისრაელში. ამერიკისა და საქართველოს საპატიო მიწვეული პროფესორი. 2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებს ლექციებს და უზიარებს ცოდნასა და გამოცდილებას მაკროეკონომიკის საკითხებში. თვლის, რომ ISET ქმედითი, მნიშვნელოვანი, დასავლეთის დონეზე, უნივერსიტეტია, სადაც ინგლისურ ენაზე ასწავლიან თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებებს. კვლევის საგნის აქტუალობიდან გამომდინარე მსოფლიო ბანკების მრჩეველია, მრავალი აკადემიური გამოცემის რედაქტორი და სტუდენტთა პროექტების ხელმძღვანელი. სარედაქციო კოლეგიის „მენეჯმენტი და გადაწყვეტილებათა ეკონომიკა“ წევრი 2002 წლიდან. კანზას სიტის, გერმანიის, ბელგიის, ევროპის ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის კვლევის განყოფილების მიწვეული კონსულტანტი. მოპოვებული აქვს მრავალი პრესტიჟული და სოლიდური გრანტი. გახლავთ მე-2 და მე-3 სამეცნიერო ხარისხის მამიებელ სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფონდების, დაწესებულებების და გამოცემათა რეფერენტი. გამოქვეყნებული პერიოდულ ჟურნალებში და წიგნებში, სპეციალურ გამოცემებში და სტატიებში კვლევის შედეგები იმდენად დიდია, რომ გაზეთის ფორმატს არ შეესატყვისება. მრავლად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებზე და ეკონომიკურ ასოციაციებში მრჩეველთა პრეზენტაციებში. 2020 წელს პროფესორი და ვილიამ გეიტსის ფონდის თავჯდომარე, დანიელ ლევი არჩეულია ისრაელის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად.

ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1972 წ.). 1970–72 წ.წ. - თსუ მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. მიიღო ფილოსოფიის დოქტორის (ქიმიის) სამეცნიერო ხარისხი ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1990 წ.). დისერტაცია დაიცვა თემაზე „მყარი ნარევი სარაკეტო საწვავების წვის ახალი ეფექტური კატალიზატორების და პლასტიფიკატორების სინთეზი და კვლევა“. პარალელურად სწავლობდა ისტორიის ფაკულტეტის მხარეთმცოდნეობის განყოფილებაზე; ისრაელის ღია უნივერსიტეტში (იუდაიზმის ისტორია, ფილოსოფია, ტრადიციები, ლიტერატურა) -2004 წ. და საერთაშორისო ებრაული პროექტი - „ბიეთ ბინა“- სიბრძნის სახლი (თანახის წიგნების შესწავლა) - 2009 წ. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქიმიასა და ბიბლიის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებსა და გაზეთებში. არის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ავტორი ქიმიის, კერძოდ: „ელემენტორგანული ქიმია“ – 2008 წ., „ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი“ -2005 წ. (ქიმიის დეპარტამენტის მე-4 კურსის სტუდენტებისათვის). მრავლად არის დაკავებული საზოგადოებრივი საქმიანობით, მათ შორის: არასამთავრობო ორგანიზაცია - თანახის შემსწავლელ ებრაელ ქალთა საზოგადოების „ეც ხაიმ“ (სიცოცხლის ხე“) დამაარსებელი, ხელმძღვანელი და ლექტორი - 2003 წლიდან დღემდე, ჟურნალი „ებრაული სამყარო“ მთავარი რედაქტორი, რუბრიკებისა და სტატიების ავტორი - 2009 წლიდან დღემდე, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მალხაზ (ფილხაზ) ნანიკაშვილი - ბარ-ილანის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის და

ნანო-ტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელი. თსუ, ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სპეციალობით ფიზიკური ქიმია. სადოქტორო ნაშრომი კოლოიდურ ქიმიაში (1987) შეასრულა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის, მოსკოვი) ბაზაზე. ძირითადი სამუშაო ადგილი - საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელის სტატუსით. პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორი; 1990-93 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის ფაკულტეტი; დეპარტამენტის ფიზიკური ქიმიური მრეწველობა; ასოცირებული პროფესორი; სულხან-საბას სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ქიმიის დეპარტამენტი. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ პროგრამებში: მონიტორინგის BTC (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის (სამხრეთ კავკასიის გაზსადენი) მშენებლობა- პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი, ექსპერტი; 2006-7 UNDP მოკლევადიანი საკონსულტაციო მომსახურება ტექნიკური და გარემოს დაცვის საკითხებში; 2008-10 წ.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (დედამიწის მეგობრები - საქართველო) კოორდინატორი ენერგეტიკის პროგრამებში, ექსპერტი; 2008 - 2010 წწ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ.

დავით ფანიკიშვილი (ფანიკ) ფარმაციის სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ქიმიური ფარმაცევტული აკადემიის კურსდამთავრებული (1997). სადოქტორო დისერტაციას იცავს ფარმაკოლოგიაში იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში თემაზე: „ენდო-კანაბინოიდები“ (2005). პოსტდოქტორატული მკვლევა გააგრძელა ვაიცმანის სახ. ინსტიტუტში, მცენარეთა მეცნიერებათა დეპარტამენტში. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალებში. ნაშრომებმა შუქი მოჰფინა თავის ტვინის ტრავმული დაზიანების მექანიზმების შესწავლას, გაუმჯობესების ეფექტს ენდო-კანაბინოიდების მოქმედების შედეგად. 2016 წელს ჩამოაყალიბა ბიოტექნოლოგიური კომპანია. თანამშრომლობს მყარ, დაფუძნებულ, ძლიერ ორგანიზაციებთან, ეხმარება კავშირების დამყარებაში მილსადენის მშენებლობისათვის აღჭურვილობის შექმნაში და დამონტაჟებაში.

რობერტ მანაშეროვი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მოღვაწეობს, კალიფორნია, აშშ. ბენ გურიონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობით უჯრედის ბიოლოგიის და კულტურათა განხრით. 2005-2007 წწ. პოსტდოქტორანტის პოზიცია გენეტიკის განყოფილებაში, შემდეგ აგრძელებს კვლევებს ინფექციური დაავადების კათედრაზე. 2014 წლიდან სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომელია. აქვს მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია.

ლელა წიწუაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგამოფენო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1991 წელს დაასრულა სანქტ-პეტერბურგის ხელოვნების აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, სპეციალობით - ხელოვნების ისტორიკოსი. 2012 წელს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო ნაშრომი: „მე19-20-ე საუკუნეების იუდაიკა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში (ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე)“. დაწყებული 1995 წლიდან დღემდე იკვლევს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციებს, რომლებიც დაცულია საქართველოს

ეროვნული მუზეუმის ფონდებში და ანაბრებში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი იუდაიკაში, დამუშავებულია არა ერთი კატალოგი, სისტემატიზირებულია ექსპონატები. 2006 წლიდან დღემდე წარმოდგენილი აქვს 400მდე ყველა სახის და დროების გამოფენა, კურატორია საქართველოს ეროვნულ ცენტრში მუზეუმის სხვადასხვა საგამოფენო ადგილებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ გრანტთა სიმრავლე, რომელიც მან მოიპოვა: გრანტი Rothschild Foundation (Hanadiv) ევროპის მუზეუმები პროგრამა: პროექტი "ებრაული კულტურული მემკვიდრეობის კოლექციები საქართველოს ეროვნულ და განახლებულ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის მუზეუმში, თბილისში". 2016-17წწ. - როტილდის ფონდის საგრანტო პროექტი: „საქართველოში ებრაული კოლექციების ვებგვერდის და online მუზეუმის შექმნა“. 2018 წელს ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ვებსაიტი შექმნა www.jewishcollections.museum.ge. 2019-20 წწ. მოსკოვის ებრაელთა მუზეუმისა და ტოლერანტობის ცენტრის მიმდინარე გრანტი "საქართველოს ებრაელები საბჭოთა კავშირის განადგურების ზღვარზე" და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის "საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახვითი ხელოვნების მუზეუმების ევროპული ნახატების კოლექციების ინტეგრალური კვლევა". ამ შრომატევადი პროცედურათა შედეგი მოახმარა ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა შესწავლას და წარმოჩენას მსოფლიოს ყველა კუთხეში საერთაშორისო კონფერენციებზე. პროფესიონალური და საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან აღსანიშნავია, რომ 1994-დღემდე ლექტორია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებში, 2012 წლიდან ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში. რეგულარულად იწვევენ ტრენინგის პროგრამებში ევროპული ებრაული მუზეუმების ასოციაციაში.

სიმონ ნათლიაშვილი - კუიბიშევის თვითმფრინავმშენებლობის ინსტიტუტის უმაღლესდამთავრებული (1959-64). მოსკოვის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის, მრავათა შემოწმების განყოფილებაში იძენს კვალიფიკაციას (1964-68). 1972 წელს სწავლას პატენტთა ინსტიტუტში აგრძელებს. 1971-91წწ. ჩართულია სამეცნიერო-საინჟინრო პროექტებში „ჟანგბადის, ნახშირბადის, აზოტის მდგრადი იზოტოპები“. ოთხი საავტორო პატენტის მფლობელია, მათ შორის 1986 წ. „დანადგარი იზოტოპ აზოტ-15 კონცენტრირებისათვის“ შექმნისათვის. ჩართული იყო საზოგადოება „დინამიკა“ს კვლევებში. 1996-2007 წწ. ბარ-ილანის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობს. უდიდესი წვლილი შეიტანა და ოპტიმალურ მოქმედებამდე მიიყვანა თხევადი ჰელიუმის და გაზის შესაგროვებელი დანადგარი, კოლექტორი. 2013 წლიდან ხაიფის ტექნიონის, ფიზიკის კათედრის თანამშრომელია. აღსანიშნავია 2006 წელს შექმნილი ნამუშევარი „დავითის ვარსკვლავი“, რომელშიც საინტერესო ინტერპრეტაციით არის წარმოსახული დოქტორი სიმონ ნათლიაშვილის ტილოში დავითის ვარსკვლავისა - როგორც სიმბოლო ისრაელის ერის შემოკრებისა. ელზა სნირ (ჩაჩაშვილი) გამოცდილი სპეციალისტი გახლავთ ზედაპირული ქიმიის წამყვან პროექტებში, როგორცაა საიზოლაციო მასალები, ფენები, ბიოქიმიური აქტიური მოდიფიკაციები; ულტრა მგრძობიარე სენსორების შემუშავებაში სამედიცინო მიზნებისათვის, დიაგნოსტიკისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენისთვის. 2014 წელს იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის, ქიმიის ფაკულტეტზე მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, დისერტაციის სახელწოდება: „ფერმენტული ფოსფორილირების რეაქციების ელექტრული შეგრძნება“. კვლევის შედეგი მნიშვნელოვანია და საშუალებას იძლევა უჯრედში კიბოს პროცესების მონიტორინგის და ნეირო-ელექტრონული მოწყობილობების ჩართვისა. მომავალში მიმზიდველია დიაგნოსტიკური და ახალი წამლების განვითარების მიზნებისათვის. გამოქვეყნებული

აქვს სამეცნიერო სტატიები და მონაწილეობს კონფერენციებში. აღსანიშნავია მისი მრავალ თანამედროვე დახელოვნების კურსში ჩართვა, მათ შორის საზაფხულო კურსი ნანომასალების და არქიტექტურის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია NATO მიერ - Advanced Advanced Institute, ირლანდია, 2013 წლის ივლისი. ისრაელიდან მხოლოდ სამი სტუდენტია მოწვეული და 2017-2018 წწ. კურსი "სამედიცინო აღჭურვილობის შემუშავება უახლესი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად".

იოშუა ენუკა (ენუქაშვილი) ხაიფის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეცნიერო ხარისხს არიელის და შემდგომ თელ ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე აგრძელებს. მისი კვლევის არეალი - სტრუქტურული ბიოინფორმატიკა. საკვალიფიკაციო დისერტაცია: 'ნატრიუმის არხების ერთნაირი განაწილება მოციმციმე ეფიტელიუმში, კვერცხუჯრედებში და სასუნთგ გზებში' (2012). პოსტდოქტორატის სტაჟირება ვაიცმანის ინსტიტუტში გაიარა. ასწავლიდა კურსებს: 1) გაცნობა კომპიუტერული მეცნიერებისა და პროგრამირების შესახებ ბიოლოგიურ მეცნიერებაში; 2) მონაცემთა სისტემები და პროგრამები ბიოინფორმატიკაში; 3) ბიოქიმია; 4) თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდები მოლეკულურ ბიოლოგიაში. აგრძელებს კვლევას: ა) ახლად აღმოჩენილი წრიული რნმ-ის იზოფორმი, როგორც კიბოს პოტენციური ბიომარკერები და ბ) დნმ-ის მეთილის როლი ონკოგენურ სიგნალში. სიგალიტ მეკერი - წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, PhD(2017). იერუსალიმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (2008 წ.), მაგისტრის ხარისხი ქიმიაში დაამთავრა M.Sc. (2011). მისი სადოქტორო დისერტაცია ფოკუსირებულია მეტალო-მედიკამენტების სინთეზის საკითხებში კიბოს თერაპიისათვის, ნანონაწილაკებში მათი ფორმულირებისა და მექანიზმის შეფასებაზე, ანალიტიკური ტექნიკის გამოყენებით. ეს ნამუშევარი აღიარებული გახლდათ ისრაელის ქიმიური საზოგადოების მიერ (ICS) და ის პრიზით „წარჩინებული კურსდამთავრებული“ დაჯილდოვდა. შემდეგ სინგაპურში გადადის და ორწლიანი პერიოდი Nanyang ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომელია. შეისწავლა ბიომოლეკულების (ფოსფოლიპიდების) თვითდამონტაჟება და ქიმიური დაკავშირება ოქსიდის ზედაპირებზე და მათი ურთიერთქმედება ცილებთან და უჯრედებთან, აგრეთვე ალცჰეიმერის დაავადებასთან დაკავშირებით. სიგალიტის რწმენით, ქიმია არის ბიომექანიკური კვლევის მძლავრი და ადაპტირებადი იარაღი. ამჟამად ის დაინტერესებულია ცოდნისა და უნარის ინვესტიციაში ინოვაციური მთარგმნელობითი მეცნიერების სფეროში: მეცნიერების და ტექნოლოგიის შერწყმაში. მრავალი საპატიო პრიზით დაჯილდოებულია სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობისათვის. 2019 წლიდან თანამშრომლობს სინგაპურში კომპანია „Tikkun Olam Makers“ (TOM). თანამედროვე ხედვა მეცნიერების და ტექნოლოგიის შერწყმაში. ეს მოძრაობაა სადაც ქმნიან და ავრცელებენ ხელმისაწვდომ გადაწყვეტილებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და ღარიბთა დასახმარებლად. ინჟინრები, დიზაინერები, დეველოპერები, ერთის მხრივ და პირები, რომლებიც შეზღუდულნი არიან, მეორე მხრივ, ერთად მუშაობენ ამ უგულებელყოფილი საჭიროებისთვის ინოვაციური და ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებების შესაქმნელად.

ხანა აჯიაშვილი - კომპოზიტორი. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის კურსდამთავრებული(1995), სწავლას აგრძელებს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიაში. ამოვიდა ისრაელში 2001 წელს და ჩაუდგა სათავეში ორ-ჰეუდის კონსერვატორიას. 2007 წელს ბარ-ილანის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო ხარისხი კომპოზიციაში. 2008 წელს მიენიჭა ისრაელის პრემიერ მინისტრის ჯილდო კომპოზიციაში. 2011 წელს დაჯილდოებულია სიმენსის სამუსიკო ფონდის მიერ (გერმანია), როგორც საუკეთესო ისრაელი თანამედროვე შემსრულებელი. 2010 წლიდან

კულტურის სამინისტროს მუსიკალური დეპარტამენტის წევრი, 2011 წლიდან ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის საბჭოს წევრი, 2016 წელს თანამშრომლობდა Lincoln Center - NY ფილარმონიის მიერ შედგენილ პროგრამაში, ისრაელის წარმომადგენელად. აქვს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება სასწავლო სფეროში: მიწვეული ლექტორი გახლდათ მადრიდის სამეფო კონსერვატორიაში, ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლაში, იერუშალაიმის სამუსიკო აკადემიაში. 2002 წლიდან ორ-ჰეუდის კონსერვატორიაში: დირექტორი, კომპოზიტორი, პედაგოგი. მუსიკის მასწავლებელი ელის თავის აღზრდილებისაგან წარმატებებს, რაც 2018 წელს ჰიუსტონში დადასტურდა. მსმენელი მოუთმენლად ელოდება ხანა აჯიაშვილის ოპერის პრემიერას "Cut Glass". რუბენ კაჟილოტი კომპოზიტორი, დოქტორი, ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 1972 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის კლასი ა. ბალანჩივადის ხელმძღვანელობით. 1972-1974 წწ. თეორიული საგნების პედაგოგი რუსთავეში სამუსიკო სკოლაში. 1974 წლიდან თბილისის 1 სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი. მის კალამს ეკუთვნის კომპოზიციები: მუსიკალური ნაწარმოებები კამერული, სიმფონიური, სიმებიანი ორკესტრისათვის, ალტისა და ფორტეპიანოსათვის, სიმღერები. მისი ნაწარმოებები ჩართული არის მრავალი ფესტივალის პროგრამებში, კერძოდ აბუ-გოში, 2019. საინტერესო კვლევა ჩაატარა და წარმოაჩინა 2014 წელს ბარ ილანის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე: „ქართველ ებრაელთა ლოცვანი, მახასიათებელი, თავისებურებანი“.

გური ცივიონი - პროფესორი, ვინდძორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი, მოლეკულური მეცნიერებების კათედრის გამგე (აშშ). მან იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტი დაამთავრა (1989წ.), განაგრძო იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის განხრით სწავლება და 1995 წ. მოიპოვა PhD ხარისხი ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოლოგიაში. პოსტდოქტორანტული დახელოვნება ჰარვარდის სამედიცინო ფაკულტეტზე კიბოს მოლეკულურ ბიოლოგიაში გაიარა (1995-2000). განაგრძო კვლევითი მუშაობა ტეხასის სამედიცინო ცენტრში. დეტროიტში, კარმანოს კიბოს შემსწავლელ ცენტრში, იენის სახელმწიფო უნივერსიტეტის (2004-2009) მიწვეული პროფესორია. მისისიპის სამედიცინო ცენტრი (2009-2015) და ამჟამად გენეტიკის პროფესორი ვინდძორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, დეკანი სამეცნიერო დარგში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. თავს ვალდებულად ვთვლი ავლნიშნო, რომ ამ მკვლევარის ბიოგრაფია არის საუკეთესო მაგალითი მეცნიერებაში მემკვიდრეობისა. გური თემში ცნობილი და ისრაელში დამსახურებული ფიზიკოსის, პროფესორ შალვა ცივიონის (წიწუაშვილის) ვაჟია. თამარ საპირი - ბარ-ილანის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის (1998-2000) კურსდამთავრებული, ბიოტექნოლოგიის განხრით. სადოქტორო დისერტაცია მოლეკულურ ბიოლოგიაში, დიაბეტის მკურნალობის უჯრედული და გენური თერაპიის საკითხებში დაიცვა (2006). შემდგომი მისი სამეცნიერო კარიერა აშშ, მაიამიში გრძელდება: პოსტდოქტორატი (2006-2009). ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი ამთავრებს ბიზნესის უნივერსიტეტს. მას ეძლევა შესაძლებლობა პროექტების მართვის, გრანტების წარდგენის, საერთაშორისო ფორუმების ორგანიზებისა. დიდ ინტერესს იწვევს მასში კლინიკურ დისციპლინების სწავლება და სამედიცინო დარგში პროფესიონალთა დახელოვნება. 2018 წლიდან პროფესორი თამარ საპირი განათლების „PRIME“ კომპანიის ვიცე პრეზიდენტია. კითხულობს ლექციებს ფლორიდის უნივერსიტეტში მოლეკულურ ბიოლოგიაში. კლინიკური იმუნოლოგიურ საზოგადოებათა ფედერაციის საბჭოს წევრი გახლავთ.

მეცნიერი არის ერთ-ერთ დარგში ღრმა მცოდნე – სპეციალისტი, რომელიც კვლევაში სამეცნიერო მეთოდებს გამოიყენებს. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება საზღვარგარეთ, დამტკიცება და აღიარება ექვემდებარება ბოლონის პროცეს — ევროპის ქვეყნების

განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმებისა და მობილობის გაძლიერება და ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა (1999). ბოლონის პროცესს საქართველო 2005 წელს შეუერთდა. საქართველოს სამეცნიერო სკოლები: ი.ვეკუა, დ.უზნაძე, ი.ბერიტაშვილი, ს.ვირსალაძე, ე.ანდრონიკაშვილი მსოფლიოში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე არის მიკვლევული და წარმოდგენილი წინამდებარე მასალა. გთხოვთ მოგვაწოდოთ მასალა თქვენთვის ცნობილ მეცნიერებზე, რომელიც გამოტოვებულია, რათა გავადრმაგოთ და შევავსოთ ეს ხარვეზი. ჩემი კვლევის მიზანი თემის მეცნიერთა მასშტაბურად წარმოდგენა გახლდათ, და არა ერთეულების. “ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

პროფესორი დოდო ჩიკვაშვილი – თელავის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტი